

ხალხის აზრი

- რამდენად სამართლიანად ჩატარდა 1 ოქტომბრის არჩევნები და რას ვლოდებით მომავალში?

უჩა ჩორგოლაშვილი:



„არჩევნები საქართველოსთვის უჩვეულოდ სამართლიანად ჩატარდა. ეს კი საზოგადოების დამსახურებაა. რადგან, ჩვენი თვითშეგნება დღითიდღე იზრდება და ბუნებრივია, თვითშეგნების ამალგებასთან ერთად პასუხისმგებლობაც გვემატება. შესაბამისად, ძალა განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაშია. ეს კარგად გამოჩნდა ამ არჩევნებზე. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართულმა საზოგადოებამ თავისი სიტყვა თქვა მსოფლიო საზოგადოების წინაშე და დაამტკიცა, რომ მასაც აქვს არჩევანის უფლება და უნარი, გადაწყვიტოს ვინ ჰყავდეს მთავრობაში. არჩევნების შემდეგ ჩვენი მოლოდინი დიდია. მაგრამ ვფიქრობ, ამ ეტაპზე მთავარია ჰადრაკის დაფაზე პაიკები სწორად დალაგდეს. მნიშვნელოვანია, მინისტრებად როგორი ადამიანები მოგვევლინებიან. ჩემი აზრით, ახალ მთავრობას აქვს ადამიანური რესურსი, რომ პორტფელში ისეთ ადამიანებს ჩააბარონ, რომლებთანაც საუბარი შესაძლებელი იქნება და იმ ადამიანების გულისტყვივლი ვაიზიარებენ, რომლის დახმარებითაც მოხდენ მთავრობაში. საკადრო ცვლილებების მერე ველოდებით სამართლიანობის აღდგენას.“

გია ზელაშიძე:



„ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, რადგან მეგონა, რომ ისევ „ნაციონალები“ გაიმარჯვებდნენ. უკვე ყოფილი მთავრობა რვა წელია ქვეყნის სათავეში არის. მაგრამ ვინც მოვიდა მთავრობაში, უნდა იყოს მასზე უკეთესი. ახალი მოსული მთავრობისგან ველოდებით დასაქმებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოგვარებას. ასევე, განათლების სისტემის ხარვეზების მოგვარებას.“

ნაზო დოლონაძე:



„არჩევნები ჩატარდა ძალიან სამართლიანად და მშვიდობიანად. იმედი გვაქვს, ახალი მთავრობის დახმარებით შევალთ ნატოში, როგორც ეს ივანიშვილმა თქვა. ჩვენი მოლოდინები დიდია. ალბათ, იქნება ისე, როგორც ჩვენ, ქართველ ხალხს სურს. ქართველ ხალხს კი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო უნდა. არ გვინდა არც ამერიკა, არც რუსეთი. ორივესთან მეზობლური ურთიერთობა გვინდა. თუკი ახალი მთავრობა იმას გააკეთებს, რომ ერთის და მეორის კლანჭებიდან დაგვიხსნის, ძალიან კარგი იქნება. ჩემი სურვილია, პირველ რიგში, სასამართლოებს მიხედოს ამ მთავრობამ. გვინდა საქართველოში იყოს დამოუკიდებელი სასამართლო! ამის შემდეგ კი ყოველივე ის განხორციელდეს, რასაც კოალიცია გვპირდებოდა. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.“

ქუთაისში შიმღვარი არჩევნები

თვა ზიგზიზაძე

ქუთაისის №59-ე საარჩევნო ოლქში 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობამ მშვიდ გარემოში ჩაიარა: არცერთი დახურული და გაუქმებული საარჩევნო უბანი, 12 საჩივარი და 10-მდე ხარვეზიანი შემაჯამებელი ოქმი - ასეთი შედეგი დაილო კენჭისყრის პროცესების დასრულების შემდეგ საოქლო საარჩევნო კომისიაში. სადაც საარჩევნო უბნებიდან შემაჯამებელი ოქმების მიღება 2 ოქტომბრის დღის 9:00 საათზე დასრულდა.

შემაჯამებელი ოქმების შედეგებით ქუთაისში ხმათა უმრავლესობით არჩევნებში გამარჯვება „ქართულმა ოცნებამ“ (57,37%) და მისმა მასობრივად კანდიდატმა გუბაზ სანიკიძემ (54,24%) მიიპოვა.

რა ხდებოდა 1 ოქტომბერს მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ქუთაისის №59-ე საარჩევნო ოლქში? როგორ რეაგირებდა საოქლო საარჩევნო კომისია კენჭისყრის პროცესში საარჩევნო უბნებზე არსებულ დარღვევებსა და რა ხდებოდა შემაჯამებელი ოქმების მიღების დროს? „ახალი ვაჭეთი“ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში აღნიშნულ პროცესებს აკვირდებოდა.

დღის მანძილზე მცირედი დარღვევების ფოზზე, ვაცილებით საგანგაშო მდგომარეობა შემაჯამებელი ოქმების მიღების პროცესში გამოიკვეთა, როდესაც საარჩევნო უბნებიდან დაულოქავი ჩანაწერთა წიგნები, დისბალანსით შევსებული და ასევე, გადასწორებული შემაჯამებელი ოქმები მიიტანეს.

X X X

ქუთაისის 127-ვე საუბნო საარჩევნო კომისიიდან პირველი მონაცემები საოქლო საარჩევნო კომისიამ 1 ოქტომბერს დღის 8:00 საათზე მიიღო - მიღებული ცნობის თანახმად, ყველა საარჩევნო უბანი დროულად გაიხსნა.

8:00 საათზე საოქლოს ინფორმაციით, ქუთაისის რამდენიმე უბანზე პირველი ამომრჩეველი უკვე გამოცხადებული იყო.

საარჩევნო უბნებში დაფიქსირებულ პირველ დარღვევაზე პირველი კომენტარის გაკეთება ქუთაისის საოქლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს 10:00 საათისთვის მოუხდა. ამ დროიდან, ცნობილი გახდა, რომ ქუთაისის თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმაზე ნაკლები ბიულეტენი დაფიქსირდა, ვიდრე ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. მაგალითად, მათ შორის აღმოჩნდა №10, №18, №22, №38, №50, №123-ე საარჩევნო უბნები. ამ უკანასკნელ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობასთან შედარებით 180 ბიულეტენით ნაკლები იყო მიტანილი.

იურისტ თამარ კორძაიას განმარტებით, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უბანზე ბიულეტენების რაოდენობა არ უნდა იყოს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე ნაკლები.

„უნდა იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის ტოლი. ბიულეტენები უბნებზე 50-ის ჯერადით მიღის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეტობა და არა ნაკლებობა“, - ამბობს თამარ კორძაია.

ქუთაისის №59-ე საოქლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ ოსეფაიშვილმა კი განმარტა, რომ ნაკლები ბიულეტენები უბნებზე ამომრჩეველთა



სარევიანი შემაჯამებელი ოქმები უბნის ბათილად ცნობის საფუძველი არ გამხდარა

სტატუსებმა განაპირობა, რაც დარღვევა არ იყო და ის არავითარ პრობლემას არ გამოიწვევდა.

„პირიქით, მეტი რომ იყოს ეს ეჭვს გამოიწვევს. გამოიციხულია რომ უბნებზე რეგისტრირებული ყველა ამომრჩეველი მივიდეს. თუ ვინმე თვლის, რომ ნაკლები ბიულეტენები პრობლემას, შეუძლია ცესკოს მიმართოს საჩივრით,“ - ამბობს ავთანდილ ოსეფაიშვილი.

ქუთაისის საოქლო საარჩევნო კომისიაში, 11:00 საათისთვის, ასევე, შევიდა ცნობა, რომ ქუთაისის №95-ე საარჩევნო უბანზე პიროვნებამ, რომელიც საკონსულტაციო ალრიცხვზე იმყოფება, ხმის მიცემა შეძლო. როგორც „სამართლიანი არჩევნების“ იურისტები განმარტავენ, აღნიშნული ქმედება კანონდარღვევაა.

საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისას დარღვევა დაფიქსირდა ქუთაისის №18 საარჩევნო უბანზე. სადაც დევნილმა პიროვნებამ ხმის მიცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე შეძლო.

როგორც №18-ე საარჩევნო უბანზე განმარტავენ, დევნილმა ხმის მიცემა საოქლო საარჩევნო კომისიის ტრენერთან კონსულტაციის შედეგად მისცა. თუმცა, ქუთაისის საოქლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ ოსეფაიშვილმა აღნიშნული ქმედება კანონდარღვევად შეაფასა: „დევნილებმა ხმის მიცემა რომ შეძლონ, ამისათვის მათ პირადობის მოწმობასთან ერთად, დევნილს დამადასტურებელი მოწმობა უნდა წარმოადგინოს,“ - ამბობს ავთანდილ ოსეფაიშვილი.

მსგავსი ფაქტი, ქუთაისში სხვა საარჩევნო უბნებზეც დაფიქსირდა. გარდა ამისა, კენჭისყრის დღეს, სისტემატურად ვრცელდებოდა ინფორმაცია ქუთაისის სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე საარჩევნო ყუთის გატაცების, დაპირისპირების და სხვა დარღვევების შესახებ.

კიდევ ერთი დარღვევა ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაში დაფიქსირდა. ქუთაისის 107-ე საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულ მამა შვილს მათი პირადი ნომრის გასწვრივ სივლის მათი პირადი დახვდათ. მერაბ ლაგვიანი გვაზავებმა აღნიშნულის გამო ხმის მიცემა ვეღარ შეძლეს.

მერაბ გვაზავამ, რომელიც ქუთაისის

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორია, განაცხადა, რომ როდესაც კომისიის წევრმა მისი პირადი ნომერი შეიყვანა, აღნიშნული მონაცემებით ხმა უკვე მიცემული იყო, თუმცა ხელმოწერა სხვა სახელით და გვარით იყო გაკეთებული. ახლოგვიური მოხდა მისი შვილის შემთხვევაშიც.

„ბოლოში მომიხადეს, თვითონაც შეწუხდნენ და კომისიის წევრს დააბრალებს რაც მოხდა. მითხრეს ამას ახლა არაფერი უშველისო და ხმას ვეღარ მისცემთო. შემდეგ გამომიტანეს გარდაცვლილთა სია, სადაც მე აღმოვჩნდი რეგისტრირებული“ - აცხადებს მერაბ გვაზავა.

მივივე თქმით, ძალიან ბევრი ყოფილი მეზობელი, რომლებიც ახლა ისრაელში ცხოვრობენ, სიაში აღმოაჩინა.

თუმცა, არსებული დარღვევების მიუხედავად, 15:00 საათის მდგომარეობით ქუთაისის საოქლო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ შესულა. ხოლო 17:00 საათისთვის საოქლოში მხოლოდ ერთი საჩივარი იყო შესული. საჩივარი ქუთაისის №87-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტს ეხება, როდესაც დამკვირვებლების თქმით, 6 ბიულეტენი საარჩევნო ყუთში თავმჯდომარის ხელმოწერის გარეშე ჩავარდა.

საოქლო საარჩევნო კომისიაში მთელი დღის მანძილზე განმარტავდნენ, რომ მცირედი ხარვეზები რაც უბნებზე ფიქსირდებოდა, უბნებზე მყოფ დამკვირვებლებსა და კომისიის წევრებს შორის დაპირისპირებით იყო გამოწვეული. რადგან დამკვირვებლები თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებდნენ და კომისიის წევრების უფლებამოსილებაში ეროდნენ.

აღნიშნული დარღვევები და ექსცესები დღის ბოლოს საჩივრებში აისახა. კენჭისყრის პროცესის დასრულების დროს, ქუთაისის საოქლო საარჩევნო კომისიაში 12 საჩივარი იყო შესული.

ქუთაისის №59-ე საოქლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ ოსეფაიშვილის განმარტებით, კენჭისყრის პროცესმა ქუთაისში ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. კენჭისყრა ქუთაისში ისე დასრულდა, არცერთი საარჩევნო უბანი არ დახურულა. შესაბამისად, საოქლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ყველა ინფორ-

ხარვეზიანი შინაგარეული ოქმებით

მაცია, რომელიც დღის მანძილზე საარჩევნო უბნების გაუქმებასა და დახურვას ეხებოდა, მცდარი აღმოჩნდა.

რა მოხდა არჩევნების ღამეს?

ქუთაისის №59-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო უბნებიდან შემავ ამბებელი ოქმების მიღება 1 ოქტომბერს, 23:00 საათიდან დაიწყო და ის 2 ოქტომბრის დილის 9:00 საათამდე გაგრძელდა. მანამდე საოლქოს ხელმძღვანელობამ უსაფრთხოებისთვის იზრუნა.

დაცვის მიზნით თავდაპირველად საოლქო კომისიასთან 4 პოლიციელი გამოცხადდა. მოგვიანებით კი, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიის წინ არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები საზეიმო მსვლელობისთვის შეკრიბნენ, უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს და საოლქო კომისიის შენობის გარე პერიმეტრს პილიციის სრული შემადგენლობა იცავდა.

შემაჯამებელი ოქმების ჩაბარებას ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში 7 არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალი, „სამართლიანი არჩევნების“ და „დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ქუთაისის ორგანიზაცია, „საარჩევნო სისტემების კვლევითი ცენტრი“, „სამოქალაქო ინიციატივა - სამართლიანი არჩევანი“, „ადამიანის უფლებების დაცვისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი“, „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ და „დემოკრატიის ქსელი“.

აღნიშნული ორგანიზაციებიდან უმრავლესობა პარტიულ მიზნებს ატარებდა. მაგალითად, „ადამიანის უფლებების დაცვისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი“ - „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდა, ისევე როგორც, იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები. თუმცა, გაირკვა, რომ ერთ-ერთმა დაკვირვებელმა - თმარ მორჩაძემ მისი წარმდგენის („დემოკრატიის ქსელი“) ვინაობაც არ იცოდა. როგორც თავად განაცხადა, ის ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა წარადგინა.

საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციების მიტანა რიგითობის მიხედვით დაიწყო. რიგითი ნომრები მათ კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საოლქოში მისვლისას ეძლეოდათ.

პირველი საოლქო კომისიაში №18-ე საარჩევნო უბანი გამოცხადდა. კომისიის წარმომადგენლებმა დოკუმენტაცია ყოველგვარი გართულების გარეშე ჩააბარეს.

თუმცა, სხვა საუბნო საარჩევნო კომისიებთან მიმართებაში პირველმა პრობლემამ მალევე იჩინა თავი, დაუღუპა ჩანაწერთა წიგნის სახით. მოგვიანებით, აღნიშნულმა დარღვევამ მასიური ხასიათი მიიღო. რაც ჯამში 55 საუბნო საარჩევნო კომისიის მისამართით დაფიქსირდა.

ადგილზე მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ჩანაწერთა წიგნის დაუღუპობა დარღვევაა. თუმცა საუბნო კომისიების თავმჯდომარეები აცხადებდნენ, რომ მათთვის ტრენერებს არ მიუთითებიათ ჩანაწერთა წიგნის დაუღუპვის აუცილებლობაზე.

აღნიშნულ დარღვევას, მოგვიანებით სხვა მნიშვნელოვანი დარღვევები მოჰყვა. როდესაც საარჩევნო უბნებიდან მიღებულ შემაჯამებელი ოქმებზე ბალან-

სი არ დგებოდა. ასეთი 11 საარჩევნო უბნიდან მიღებული ოქმი აღმოჩნდა. სადაც მეტობა იყო ბიულეტენების რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას შორის. ასევე, ხარვეზიანი ოქმებიდან, ზოგიერთ ოქმს არც ბეჭედი ჰქონდა. გარდა ამისა, რამდენიმე ოქმში გადასწორებული იყო მონაცემები.

მსგავსი სახით შემაჯამებელი ოქმების მიტანამ საოლქო საარჩევნო კომისიაში მასიური ხასიათი დილის 6:00 საათიდან მიიღო. საუბნო საარჩევნო კომიების წარმომადგენლები ხარვეზიანი ოქმებით საოლქო კომისიაში თითქმის ერთმანეთის მიყოლებით გამოცხადდნენ.

მაგალითად, №89 უბანზე დისბალანსი იყო მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში, სადაც ბიულეტენთა რაოდენობა 15-ით აღემატებოდა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას. ასევე, მატება იყო №88 უბნის შემაჯამებელ ოქმში, სადაც პროპორციულ ოქმში 40 მეტი ბიულეტენი დაფიქსირდა.

შემაჯამებელი ოქმებში არსებული დისბალანსის გარდა, ცოტა მოგვიანებით გაირკვა, რომ ერთ-ერთმა საარჩევნო უბნის კომისიამ (№57-ე უბანი) საერთოდ დაკარგა ცარიელი მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმი, რის გამოც, მაჟორიტარული ოქმი შეუფასებელი დარჩა.

საოლქო კომისიის სხდომაზე №57-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ და წევრებმა განმარტეს, რომ მათ არ იციან სად გაქრა ცარიელი შემაჯამებელი ოქმი. თუმცა იმის გამო, რომ უბანზე მიღებულ მაჟორიტარული ხმების შედეგებს კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა, საოლქო კომისიამ ხმები არ გააბათილა.

დასჯილი კომისიის წევრები და ტექნიკური ხარვეზების შიშის გამო აღმოჩენილი დარღვევები

საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან მეორე დღესვე საჩივრების განხილვა დაიწყო. სულ 15-მდე საჩივარი განიხილეს, რომლებიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო დაწერილი. თუმცა, არცერთი საჩივარი უბნის ბათილად ცნობისა და შედეგების გაუქმების საფუძველი არ გამხდარა.

რაც შეეხება ხარვეზიანი შემაჯამებელი ოქმებს, რომლებიც შესაძლებელი იყო, რომ უბნის ბათილობის საფუძველი გამხდარიყო, საოლქო საარჩევნო კომისიამ ისინი კენჭისყრიდან მესამე დღეს განიხილა. თუმცა, განხილვის შედეგად გაირკვა, რომ ადგილი ქონდა ტექნიკურ ხარვეზებს და ოქმებზე ბიულეტენების მეტობის მიუხედავად, არცერთი უბნის შედეგები არ შეცვლილა.

11 ხარვეზიანი შემაჯამებელი ოქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ქონდა საუბნო კომისიების თავმჯდომარის და მდივნის მხრიდან უყურადღებობას, კვალიფიციურობის დაბალ დონეს. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში მათ ვერ შეძლეს შემაჯამებელი ოქმებში ზუსტი მონაცემების გადაწერა, რადგან ჩანაწერთა წიგნში მონაცემთა გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ბალანსი

ზუსტად იყო შედგენილი. ხოლო ზოგიერთი უზუსტობის შემთხვევაში, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენები ერთად იყო დათვლილი და შეყვანილი შემაჯამებელი ოქმში.

ტექნიკური ხარვეზების გამო, საოლქო საარჩევნო კომისიამ თითოეულ ხარვეზიან ოქმს ახსნა-განმარტება დაურთო. ხოლო 11-ვე საუბნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრა, შენიშვნის სახით.

ასევე, დისციპლინარული პასუხისმგებლობა დაეკისრა იმ 55 საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელთაც ჩანაწერთა წიგნები არ ქონდათ დაუღუპული.

საყვედურები მიიღო 57-ე საუბნო კომისიის სრულმა შემაჯამებლობამ, რომელთაც შემაჯამებელი ოქმის დაკარგვა.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი კვალიფიციურობის დაბალ დონეს დაბრალდა. რის გამოც, არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა და საოლქო კომისიის ხელმძღვანელობამ მიიღეს გადაწყვეტილება, რეკომენდაციებით მიემართოს ცესკოს, შემდგომ არჩევნებზე სატრენინგო სიტემის დახვეწისა და თვით ტრენერთა დონის ამაღლების მიზნით.

„საოლქო საარჩევნო კომისია მიმდინარე არჩევნებზე იყო გაცილებით მობილიზებული, საუბნო კომისიებისგან განსხვავებით. ყველა დარღვევაზე ახდენდნენ დროულ რეაგირებას. რაც უბნებზე ერთობლივადაც ვავდიოდით. თუმცა, ხარვეზიანი შემაჯამებელი ოქმებთან მიმართებაში, ჩვენ უფრო მეტად მკაცრი გადაწყვეტილების მომხრეები ვიყავით, რადგან კომისიის იგივე წევრები აღარ მოხვდნენ კომისიებში. გარდა ამისა, ტრენინგებმა უნდა უზრუნველყოფს, რომ თანაბარი დონით გადაამზადონ კომისიის წევრები. ფაქტია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები ვერ ღვანან მოწოდების სიმძლავრე, ამიტომ უნდა მოხდეს მათი სერტიფიცირება“ - აცხადებს საიას ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი ნოდარ ჯიქია.

„პასუხისმგებლობის ზომა არ ავცილებია არავისთვის. ძირითადად ყველგან იყო ტექნიკური ხარვეზი, რაიმე მნიშვნელოვანი გადაცდომა არ ყოფილა, რომლის გამო უბნის გაუქმებაზე ყოფილიყო საუბარი. ჩვენ მივწერთ ცესკოს გადაწვადების ცენტრს რეკომენდაციებს, თუ რა და როგორ უნდა მომზადდეს შემდგომი არჩევნებისთვის“ - ამბობს ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ოსეფაშვილის შეფასებით, ქუთაისში არჩევნები ჩატარდა ნორმალურად და კანონმდებლობის სრული დაცვით. ქუთაისის საარჩევნო ოლქში არცერთი საარჩევნო უბნის შედეგები და არსებული დარღვევები სასამართლოში არ გასაჩივრებულა.


ქუთაისში 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 163 129 შედაგენდა. რომელთაგან, არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველთა 54.8 %-მა მიიღო (89 181 ამომრჩეველი).

სახლის აზრი
- რამდენად სამართლიანად ჩატარდა 1 ოქტომბრის არჩევნები და რას ელოდებით მომავალში?

ციკლა ხაჭაპურიძე:
„არჩევნები მშვიდობიანად და სამართლიანად ჩატარდა. თუმცა, ადგილი პატარა დარღვევებს მაინც ჰქონდა. ახალი მოსული მთავრობისგან ყველაფერ კარგს ველოდებით. პირველ რიგში სამუშაო ადგილები უნდა შექმნას. მახსოვს, ეს იყო „ოცნების“ მთავარი დაპირება. ვფიქრობ, ყველა სფეროში უნდა შეიტანონ ცვლილებები, მაგრამ ერთბაშად და ერთდროულად ამას ვერ გააკეთებენ. ჯერ თვითონაც არ იციან, პირველ რიგში რა უნდა გააკეთონ. ვთვლი, რომ სასამართლოებს და სამუშაო ადგილებს შექმნა არის უპირველესი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მოსალოდნელი ცვლილება რიგითი მოქალაქისათვის იყოს მისაღები.“



გოგი ლოლაძე:
„ჯერ ასეთი სამართლიანი არჩევნები საქართველოში არ ჩატარებულა. ჩემი მოლოდინი გამართლდა რადგან, რაც დაფიქსირდა, ზუსტად იმას ველოდი. შეუძლებელი იყო „ნაციონალებს“ გამარჯვება იმ კადრების მერე, რაც გავრცელდა. ხალხი ამის გამო იყო შეშფოთებული და შეშინებული. ამიტომ ცოტა რეალისტური უნდა იყო ადამიანი. კაცი რასაც ამბობს, აკეთებს იმას. ეს ნიშნავს, რომ ახალი მთავრობის ლიდერი დინჯი ადამიანია. შეგვირდა გადასახადების განახევრებას და ასეც იქნება. უბარლოდ, ამ ყველაფერს დრო სჭირდება. ერთ თვეში ქვეყანა არ დალაგდება. უპირველეს ყოვლისა, ველოდებით სამართლიანობის აღდგენას, დასაქმებას, ჯანდაცვის მოწესრიგებას. მოკლედ, საზოგადოებაში იმედი გაჩნდა ქვეყნის აღმავლობის.“



რამაზ გოგლიძე:
„ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით ეს არჩევნები „ნაციონალებს“ ჩაატარებინეს მშვიდობიანად. მართალია, იყო პატარა დარღვევები, მაგრამ ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია არჩევნების შედეგებზე. ახლა ველოდებით სასიკეთო ცვლილებებს. პირველ რიგში სამართლიანობა, კანონიერება უნდა აღდგეს. სასამართლო უნდა დაემგვანოს სასამართლოს და მოსამართლე მოსამართლეს. ადრე თუ „ნაციონალებს“ დარეკვები ხდებოდა სასამართლოებზე, ახლა უნდა მოისპოს ეს ყველაფერი. ეს არც კოალიცია „ქართული ოცნება“ უნდა გააკეთოს. თორემ ამასაც ის მოუვა, რაც „ნაციონალებს“. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესს. ადამიანი, რომელსაც აქვს ბიზნესი, უნდა იხილდეს გადასახადს და სხვა არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასთან.“



სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.